# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება № 01-05-04/81

ქ. თბილისი 9 ივლისი 2021 წ.

**„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ცვლილებების შესახებ**

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, “პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი გარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ნაწილობრივ შეიცვალოს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
   **„მუხლი 1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი**
   1.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები მოცემულია მე-4 დანართში.“
2. ნაწილობრივ შეიცვალოს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და მე-4 დანართი ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**